

ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი



დემოკრატია ჩვენს სახლებში, ქალაქებსა და რეგიონებში

The Congress



Le Congrès

COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE

60 წლიანი პირველობა ადგილობრივი დემოკრატიის სფეროში

ადგილობრივ ხელისუფალთა კონფერენციამ, რომელიც კონგრესის შექმნამდე არსებობდა, პირველი სხდომა 1957 წლის 12 იანვარს, ჟაკ შაბან-დელმასის (საფრანგეთი) თავმჯდომარეობით ჩაატარა. მას შემდეგ კონგრესი მთავარი მოთამაშე გახდა ევროპაში ნამდვილი დემოკრატიის მშენებლობის საქმეში.

1975 წელს, როცა მწვავედ დადგა ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში რეგიონული განზომილების საკითხი, ადგილობრივ ხელისუფალთა კონფერენციის ფორმატი გაფართოვდა და მან რეგიონებიც მოიცვა.

ამგვარად, ეს კრება ევროპის ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონფერენციად გადაიქცა და მან ევროპის ყველა ტერიტორიული თემი გააერთიანა.



ჟაკ შაბან-დელმასი (საფრანგეთი), ადგილობრივ ხელისუფალთა პირველი კონფერენციის თავმჯდომარე, 1957 წლის 12 იანვარი

დამფუძნებელი დოკუმენტი

ადგილობრივი დემოკრატიის გაძლიერება და წევრი ქვეყნების მიერ მისი მნიშვნელობის აღიარება 1985 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის მიღებით დასრულდა.

ახალი საფეხური ვენის სამიტის შემდეგ

1994 წელი ახალ ეტაპად იქცა ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის წინსვლის

თვისასწრისით. ამას მოჰყვა ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის დაფუძნება ისეთი სახით, როგორითაც ის ამჟამად არსებობს. „კონფერენცია“ კონგრესმა ჩაანაცვლა.

აღიარება სახელმწიფოს მეთაურთა მიერ

2005 წელს ვარშავის სამიტზე ევროპის საბჭოს სახელმწიფოს

და მთავრობის მეთაურებმა დაადასტურეს ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის გაძლიერების მნიშვნელობა ზოგადად ევროპული დემოკრატიის გაჯანსაღების საქმეში და საგანგებოდ აღნიშნეს კონგრესის უდიდესი როლი ამ მისიაში.

ინსტრუმენტების გაძლიერება

რეგიონული დემოკრატიის სარეკომენდაციო ჩარჩო 2009 წელს ჩამოყალიბდა. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი მოუწოდებს წევრი ქვეყნების მთავრობებს, გაითვალისწინონ ეს დოკუმენტი ეროვნული პოლიტიკის ფორმირების და რეფორმების განხორციელების პროცესში. კონგრესმა მნიშვნელოვანი სამუშაო გასწია ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის ხელშეწყობისათვის, რომელსაც ამჟამად ევროპის საბჭოს 47 წევრი ქვეყანა აწერს ხელს.

„რამდენადაც ვიცი, დემოკრატიის ისტორიაში პირველად ხდება, რომ ადგილობრივი ხელისუფლებების წარმომადგენლები მოწვეულნი არიან აზრის გამოსათქმელად (...) ეროვნულ მთავრობებთან შეთანხმებით. ისინი თავად იტყვიან, თუ როგორ ხედავენ ინსტიტუციების შენების პროცესში საკუთარ მონაწილეობას“.

ჟაკ შაბან-დელმასის გამოსვლიდან, 1957 წლის 12 იანვარი.

ადგილობრივი დემოკრატიის მონიტორინგი

კონგრესის ერთ-ერთი მთავარი მისიაა ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის შესრულების მონიტორინგი ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში.

მონიტორინგი ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის საკითხებზე ხელისუფლებასთან კონსტრუქციული პოლიტიკური დიალოგის გარანტიაა. კონგრესი რეგულარულად ატარებს მონიტორინგს თითოეულ წევრ ქვეყანაში. შესაძლოა, მონიტორინგს ქარტიის მხოლოდ რომელიმე კონკრეტული ასპექტიც

დაექვემდებაროს. კონკრეტულ შემთხვევებზე დაკვირვებისა და ფაქტების გამოვლენის მიზნით კონგრესი მოულოდნელ ვიზიტებსაც ახორციელებს. კონგრესის მიერ შემუშავებული ანგარიშები, რეკომენდაციები და რეზოლუციები მთავრობებს, პარლამენტებს, ასოციაციებს, არჩეულ წარმომადგენლებსა და მედიას ინფორმაციას აწვდის ადგილობრივი და რეგიონული

დემოკრატიის მდგომარეობაზე ამა თუ იმ ქვეყანაში და წარმოაჩენს ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის შესრულების ხარისხს. კონგრესის მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით წევრ ქვეყნებში არაერთი საკანონმდებლო რეფორმა განხორციელდა.



კონგრესის პრიორიტეტებია ადგილობრივ და რეგიონულ არჩევნებზე დაკვირვება და ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის შესრულების მონიტორინგი.

ადგილობრივ და რეგიონულ არჩევნებზე დაკვირვება

კონგრესი პერიოდულად აკვირდება ადგილობრივ და რეგიონულ არჩევნებს, განსაკუთრებით ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში.

სადამკვირვებლო საქმიანობა მოიცავს ხმის მიცემის პროცესს და საარჩევნო კამპანიებს. ის ხორციელდება პოლიტიკური პარტიებისა და ჯგუფების, საარჩევნო კომისიების, მედიისა და არასამთავრობო სექტორის უმაღლესი რანგის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით. კონგრესის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის საქმიანობა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეასთან და ვენეციის კომისიასთან თანამშრომლობით ხორციელდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დემოკრატიული

არჩევნების საბჭოსთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. როგორცაა მაგალითად, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთოს) დემოკრატიული

ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი. კონგრესის მიერ განხორციელებულ სადამკვირვებლო მისიებში ჩართულია ასევე ევროკავშირის რეგიონების კომიტეტი.

პოსტ-მონიტორინგი და დაკვირვების შემდგომი საქმიანობა

არჩევნების მონიტორინგისა და საარჩევნო პროცესზე დაკვირვების შემდეგ კონგრესი აგრძელებს მუშაობას, რათა დარწმუნდეს, რომ სრულდება მისი რეკომენდაციები. ამ მიზნით მიმდინარეობს მუდმივი დიალოგი წევრ ქვეყნებთან.

თანამშრომლობა და პარტნიორობა

კონგრესი აძლიერებს თანამშრომლობასა და პარტნიორობას წევრ ქვეყნებთან, ასევე სხვა ინსტიტუციებსა და ევროპულ ასოციაციებთან ტერიტორიული დემოკრატიის მხარდაჭერის მიზნით. ამ სამუშაოს მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიისა და კონგრესის რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფა.



NEXPO 2013-ში ალბანეთის წარმომადგენელთა მონაწილეობა (მუნიციპალიტეტების საერთაშორისო გამოფენა ხორვატიაში).

სადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის ხარისხის მონიტორინგისა და არჩევნებზე დაკვირვების საფუძველზე კონგრესი წევრ ქვეყნებს სთავაზობს ექსპერტების პრაქტიკული და პოლიტიკური გამოცდილების გაზიარების საშუალებას. ეს დახმარება კერძოდ შემდეგი მიმართულებებით ხორციელდება:

- საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს მონიტორინგი
 - ახალი კანონმდებლობისა და პოლიტიკის შექმნაში მონაწილეობა
 - კარგი გამოცდილების გაზიარება, პროფესიონალთა გაცვლა, ინტერაქტიური სემინარები
 - „ლიდერების“ სესიები ადგილობრივი და რეგიონული არჩეული წარმომადგენლებისთვის
- თითოეული ქვეყნის საჭიროებათა და ადგილობრივი ხელისუფლების კონკრეტული ინტერესების გათვალისწინებით შეასაძლებელია ძალისხმევის ფოკუსირება შემდეგი მიმართულებებით: ადგილობრივი და რეგიონული არჩეული წარმომადგენლების როლი და ვალდებულებები, ეთიკა პოლიტიკასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მოქალაქეთა ჩართულობა, პოზიტური კამპანია

(განსაკუთრებული აქცენტი ადგილობრივ და რეგიონულ არჩევნებზე), კონსულტაციები და დიალოგი ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის, გამოცდილებათა გაცვლა და გაზიარება ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ადგილობრივ დონეზე, რეგიონალიზაციის პროცესი, სასაზღვრო თანამშრომლობა.

მონაწილეობა სამოქმედო გეგმებში

კონგრესის მიერ განხორციელებული პროექტები ევროპის საბჭოს სამოქმედო გეგმის ნაწილია წევრ ქვეყნებთან მიმართებაში. თანამშრომლობის პროექტები ამყარდებიან მიმდინარეობს სომხეთში, ბოსნია და ჰერცეგოვინაში (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია მოსტარში), მოლდოვის რესპუბლიკაში, უკრაინასა და კოსოვოში*. ალბანეთში დასრულდა თანამშრომლობის პროექტი.

კონგრესი აქტიურადაა ჩართული ევროპის საბჭოს სამეზობლო პოლიტიკაშიც, რომელიც მიზნად ისახავს ტერიტორიული და საკანონმდებლო რეფორმების მხარდაჭერას მეზობელ ქვეყნებში, როგორცაა, მაგალითად, მაროკო ან ტუნისი.

მჭიდრო თანამშრომლობა ევროკავშირთან

2005 წელს კონგრესმა და რეგიონულმა კომიტეტმა გააფორმეს თანამშრომლობის შეთანხმება, რომლის მიზანია „ადგილობრივი დემოკრატიის წინსვლის ხელშეწყობა, ძალაუფლების გადანაწილება და თვითმმართველობების გაძლიერება ევროპაში, უზრუნველყოფა იმისა, რომ ერიოვნულმა და ევროპულმა ხელისუფლებებმა სათანადო ყურადღება დაუთმონ ადგილობრივ და რეგიონულ სივრცეს“. 2009 წელს ეს შეთანხმება კიდევ უფრო გაფართოვდა და მასში ოფიციალურად განისაზღვრა ამ ორ განზომილებას შორის თანამშრომლობის სფეროები და გზები.

ქსელები და აჯოფები

კონგრესი ხელს უწყობს ექვეტორი მართვისა და მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერებას ადგილობრივი ხელისუფლებების ასოციაციების მხარდაჭერით, ევროპულ ქსელებთან მჭიდრო თანამშრომლობით (AER, CEMR) და ახალი ქსელების შექმნის წახალისებით. ასეთებია, მაგალითად: სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ადგილობრივ ხელისუფალთა ასოციაციების ქსელი (NALAS), ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაცია (ALDA), ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა ტრენინგ ორგანიზაციების ევროპული ქსელი (ENTO).

* ცვლა მითითება კოსოვოზე, იქნება ეს ტერიტორია, დაწესებულებები თუ მოსახლეობა, უნდა იყოს გაეროს უსაფრთხოების საბჭოს 1244 რეზოლუციის სრული დაცვით და კოსოვოს სტატუსისათვის ზიანის მიყენების გარეშე

ადგილობრივ ხელისუფალთა პან-ევროპული ასამბლეა

კონგრესი პან-ევროპული პოლიტიკური კრებაა, რომელიც ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა 47 წევრ ქვეყანას აერთიანებს.

ოს ერთადერთი ევროპული ინსტიტუციაა, რომელსაც ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე დემოკრატიისა და თვითმმართველობის განვითარების ხარისხის

მონიტორინგი ევალება. კონგრესი წარმოადგენს ევროპის მუნიციპალიტეტებსა და რეგიონებს. მისი მიზანია დემოკრატიის გაძლიერება ეროვნულ, ადგილობრივ და

რეგიონულ ხელისუფალთა შორის პოლიტიკური დიალოგისა და კონსულტაციის ხელშეწყობითა და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტთან თანამშრომლობით.

კონგრესის მიღწევები

დაფუძნებიდან დღემდე კონგრესმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საერთაშორისო ხელშეკრულებების შემუშავებაში. მათ შორისაა ადგილობრივი თვითმმართველობების ევროპული ქარტია, რომელიც ამ სფეროს მთავარ საერთაშორისო შეთანხმებად იქცა.

ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნები 1985 წელს შეუერთდნენ ქარტიას. ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებებზე

პასუხისმგებელმა მინისტრებმა 2009 წელს უტრეტში (ნიდერლანდები) მიიღეს რეგიონული დემოკრატიის სარეკომენდაციო ჩარჩო დოკუმენტი. ეს არის პრინციპების ნაკრები, რომლებსაც კონგრესი ეფუძნება რეგიონული დემოკრატიის მონიტორინგის პროცესში. გრძელვადიან პერსპექტივაში კონგრესი აპირებს, უფრო განვითაროს ეს დოკუმენტი და სავალდებულო ინსტრუმენტად, ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის ერთგვარ რეგიონულ მწვეცილად აქციოს ის.

სხვა საკანონმდებლო ინსტრუმენტები ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის სფეროში:

ევროპული კონვენცია ტერიტორიულ თემებსა და ხელისუფლებებს შორის სასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ (1980).

კონვენცია ადგილობრივ დონეზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში უცხოელთა მონაწილეობის შესახებ (1992)

რეგიონული ან უმცირესობების ქნების ევროპული ქარტია (1992)

ევროპის ურბანული ქარტია (1992) და ევროპის ურბანული ქარტია II; ახალი ურბანულობის მანიფესტი (2008).

მუნიციპალურ და რეგიონულ ცხოვრებაში ახალგაზრდების ჩართულობის ევროპული ქარტია (1992) და განახლებული ქარტია (2003).

ლანდშაფტის ევროპული კონვენცია (2000).

ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტია

ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტია აყალიბებს ადგილობრივი მთავრობების უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისა და განვითარების ერთიან სტანდარტებს. ქვეყნები, რომლებმაც ეს დოკუმენტი მიიღეს, ვალდებული არიან, გამოიყენონ საერთო პრინციპები და პრაქტიკული მიდგომები ამ სფეროში. ქარტიაზე ხელმოწერა 1985 წელს დაიწყო და ის 1988

წელს შევიდა ძალაში. ქარტია რატეფიცირებულია ევროპის საბჭოს წევრ 47 სახელმწიფოში.

2009 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის ტექსტი შეივსო დამატებითი პროტოკოლით, რომელიც ეხება მოქალაქეთა ჩართულობას. მასზე ხელმოწერა 2009 წლის 16 ნოემბერს დაიწყო და ის 2012 წლის 1 ივნისს შევიდა ძალაში. ეს პროტოკოლი უფლებას აძლევს თითოეულ

მოქალაქეს, მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივი მმართველობის პროცესში ქარტიის მიზნების გათვალისწინებით. ამ თვალსაზრისით პროტოკოლი ეხმარება ქარტიის პრეამბულას, რომელიც აცხადებს, რომ მოქალაქის უფლება, მონაწილეობა მიიღოს თავისი რეგიონის მართვის პროცესში, იმ ფუნდამენტური დემოკრატიული პრინციპების ნაწილია, რომლებსაც ევროპის საბჭოს წევრი ყველა ქვეყანა იზიარებს.

ერთი კონგრესი და ორი პალატა 150 000 თემისათვის

კონგრესი შედგება ორი პალატისგან: ადგილობრივ ხელისუფალთა პალატა და რეგიონების პალატა. მასში შედის 324 მუდმივი და 324 შემცვლელი წევრი, რომლებიც ინიშნებიან ოთხწლიანი ვადით და წარმოადგენენ 150 000-ზე მეტ ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებას ევროპის საბჭოს 47 ქვეყანაში.



648 ადგილობრივი და რეგიონული არჩეული წარმომადგენელი იკრიბება პლენარულ სესიაზე სტრასბურგში (საფრანგეთი).

3 კონგრესზე წარმოდგენილ ეროვნულ დელეგაციებში შედიან ევროპის საბჭოს 47 წევრი ქვეყნის რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფალთა წარმომადგენლები. ისინი ან პირდაპირი წესით არჩეული, ადგილობრივ ან რეგიონულ ხელისუფლებაში საარჩევნო მანდატის მფლობელი პირები არიან, ან - პირდაპირი წესით არჩეული ასამბლეის პოლიტიკურად პასუხისმგებელი პირები. მუდმივი და შემცვლელი წევრები დაჯგუფებულები

არიან ეროვნულ დელეგაციებსა და პოლიტიკურ ჯგუფებში და განაწილებულები არიან კონგრესის ორ პალატაში: ადგილობრივ ხელისუფალთა პალატასა და რეგიონების პალატაში. კონგრესი პრეზიდენტს ირჩევს რიგრიგობით ორი პალატის წევრებისგან ორი წელიწადნახევრის ვადით.

კონგრესი იკრიბება სტრასბურგში, წელიწადში ორ პლენარულ სესიაზე, გაზაფხულსა და შემოდგომაზე. ამ სესიების განმავლობაში კონგრესი ატარებს

თემატურ დებატებს, განიხილავს ანგარიშების პროექტებს და იღებს რეკომენდაციებსა და რეზოლუციებს. ამ სესიებს დამკვირვებლის რანგში ესწრებიან ასევე ეროვნულ, ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა წარმომადგენლები, სხვადასხვა ევროპული ორგანიზაციის დელეგაციები და ევროპის საბჭოს არა წევრი ქვეყნების დელეგატები.

სამი კომიტეტი, რომლებიც გამოხატავს კონგრესის პრიორიტეტებს

კონგრესის სამუშაოს ორგანიზება ხდება სამი კომიტეტის საშუალებით: მონიტორინგის კომიტეტი, მმართველი კომიტეტი და მიმდინარე საქმეთა კომიტეტი

მონიტორინგის კომიტეტს ევალება წევრი ქვეყნების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის თანახმად ნაკისრი ვალდებულებებისა და პრინციპების შესრულების მონიტორინგი. ის პასუხისმგებელია უშუალოდ ქარტიის შესრულებაზე და ევროპის რეგიონული მასშტაბის განვითარების მონიტორინგზე; მას ევალება ანგარიშების მომზადება ევროპაში ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის ხარისხის შესახებ; ასევე წევრ ქვეყნებში ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის მდგომარეობასთან დაკავშირებული ზოგიერთი სპეციფიკური საკითხის მეთვალყურეობა.

მმართველი კომიტეტის კომპეტენცია მოიცავს კონგრესისთვის წესდებით მინიჭებულ მანდატში შემავალ საკითხებს, როგორებიცაა მართვა, საჯარო სახსრების განკარგვა, სასაზღვრო და რეგიონული თანამშრომლობა, ელექტრონული დემოკრატია, მოქალაქეთა ჩართულობა და მთავრობათაშორის ინსტიტუციებთან თანამშრომლობა.

მიმდინარე საქმეთა კომიტეტი შეისწავლის ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა როლს თანამედროვე საზოგადოების წინაშე არსებულ უდიდეს გამოწვევებთან მიმართებაში; მუშაობს თემატურ საკითხებზე, როგორებიცაა საზოგადოებრივი ჩართულობა, განათლება, კულტურათაშორის დიალოგი, ახალგაზრდული საქმეები, მიგრანტების ინტეგრაცია, ბავშვთა დაცვა და მარგიანალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლა, იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს ამ სფეროებში ევროპის საბჭოს ძირეული ფასეულობების დაცვა.

კონგრესის წესდების თანახმად შექმნილია ფორუმი, რომელიც შედგება ეროვნული დელეგაციების ხელმძღვანელებისაგან და ბიუროს 17 წევრისაგან. ეს ფორუმი განაგრძობს მუშაობას წლის განმავლობაში, სესიებს შორის პერიოდშიც.



ახალგაზრდების ჩართულობის საკითხი კონგრესის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტაა

წარმომადგენლობითობა

აუცილებელია, თითოეულ დელეგაციაში თანაბრად იყოს დაცული პოლიტიკური, გეოგრაფიული და გენდერული ბალანსი. 2008 წლის შემდეგ მოქმედი, კონგრესის ახალი ქარტიით დაწესებულია მინიმალური 30%-იანი ზღვარი ნაკლებად წარმოდგენილი სქესისთვის თითოეულ დელეგაციაში.

კონგრესში ოთხი პოლიტიკური ჯგუფია წარმოდგენილი:

EPP/CD: ევროპის სახალხო პარტიის ჯგუფი

SOC/GPD: სოციალისტების, მწვანეთა და პროგრესული დემოკრატების ჯგუფი

ILDG: დამოუკიდებელი და ლიბერალ-დემოკრატების ჯგუფი

ECR: ევროპელი კონსერვატორებისა და რევორმისტების ჯგუფი

ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის 60 წელი

- 1957:** ადგილობრივ ხელისუფალთა პირველი კონგრესი
- 1985:** ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის მიღება
- 1990:** პირველი საარჩევნო სადამკვირვებლო ანგარიში
- 1993:** ადგილობრივი დემოკრატიის პირველი სააგენტოს დაფუძნება
- 1994:** მუდმივი კონფერენცია გადაიქცა ევროპის ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესად
- 1995:** მონიტორინგის პირველი ანგარიში ადგილობრივი დემოკრატიის შესახებ
- 2003:** ახალგაზრდების ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში მონაწილეობის შესახებ შესწორებული ევროპული ქარტიის მიღება
- 2005:** შეთანხმება ევროკავშირის რეგიონების კომიტეტთან თანამშრომლობის შესახებ
- 2007:** ადგილობრივი დემოკრატიის ევროპული კვირეულის დაწყება
- 2009:** განახლებული შეთანხმება რეგიონების კომიტეტთან
- 2009:** დამატებითი ოქმი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობაში მონაწილეობის უფლების შესახებ
- 2009:** რეგიონული დემოკრატიისათვის ევროპის საბჭოს სანიშნუი სისტემის მიღება
- 2010 – 2012:** კონგრესის სტრუქტურების, ადმინისტრაციული წესისა და პროცედურის რეფორმა
- 2015:** პირველი გზამკვლევის ხელმოწერა მონიტორინგის შემდგომი დიალოგის ფარგლებში კონგრესის რეკომენდაციათა განხორციელებისათვის
- 2017:** ევროპის საბჭოში ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის ხელშეწყობის 60 წლისთავი.

წვერი ქვეყნების სია (შესამაბისი წარმომადგენლების რაოდენობით)

ალბანეთი (4)	დანია (5)	ლიტვა (4)	სერბეთი (7)
ანდორა (2)	ესტონეთი (3)	ლუქსემბურგი (3)	სლოვაკეთი (5)
სომხეთი (4)	ფინეთი (5)	მალტა (3)	სლოვენია (3)
ავსტრია (6)	საფრანგეთი (18)	მოლდოვა (5)	ესპანეთი (12)
აზერბაიჯანი (6)	საქართველო (5)	მონაკო (2)	შვედეთი (6)
ბელგია (7)	გერმანია (18)	მონტენეგრო (3)	შვეიცარია (6)
ბოსნია და	საბერძნეთი (7)	ნიდერლანდები (7)	ჩრდილოეთ
ჰერცეგოვინა (5)	უნგრეთი (7)	ნორვეგია (5)	მაკედონია (3)
ბულგარეთი (6)	ისლანდია (3)	პოლონეთი (12)	თურქეთი (18)
ხორვატია (5)	ირლანდია (4)	პორტუგალია (7)	უკრაინა (12)
კვიპროსი (3)	იტალია (18)	რუმინეთი (10)	დიდი ბრიტანეთი (18)
ჩეხეთის	ლატვია (3)	რუსეთი (18)	
რესპუბლიკა (7)	ლიხტენშტეინი (2)	სან მარინო (2)	

კონტაქტები



ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის სამდივნო

Avenue de l'Europe - F-67075 Strasbourg Cedex - France

ტელ. : +33 (0)3 88 41 21 10

congress.web@coe.int
www.coe.int/congress



PREMIS T 39920